ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 23 0000115647

02/02/2023

„შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N18055 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ,,შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N18055 გადაწყვეტილების მესამე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N17159 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;“.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 02 თებერვლის N115309 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი, №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა